ხაშურის მოამბე

№7 (88) 20 თებერვალი, ორშაბათი, 2017 წელი

სად ხარ, გაზაფხულო, როგორ მოგვანატრე თავი!

რაღაც ერთი კვირა და გაზაფხული მოგვიკაკუნებს კარს. მარტი კი არის მიზეზიანი ქალბატონივით, მაგრამ მაინც მარტია, მაინც გაზაფხულია და იმედებითაა სავსე. როგორი იქნება გაზაფხულის პირველი თვე, ღმერთმა უწყის, ყოველშემთხვევაში, მთლად სინოპტიკოსებს ვერ ვენდობით. აგერ, თებერვლის დასაწყისში დაგვიპროგნოზეს, თვის ბოლოს ოც გრადუს გასცდება სითბოო და რა მაგრად „მოარტყეს", ყველა ვხედავთ.

ზოგჯერ, ეს დალოცვილები, მართლაც უზუსტესად აკეთებენ პროგნოზებს, მაგრამ ზოგჯერ (არცთუ იშვიათად) ისე დაებრეხვებენ, მხოლოდ უნდა გაგეცინოს. განსაკუთრებით გრძელვადიანები უჭირთ, არადა, ისე შორს წავიდა ტექნიკა, იმდენი ხელოვნური თანამგზავრი დაგვყურებს მაღლიდან და გვაწვდიან ცნობებს, წესით, არ უნდა უჭირდეთ.

არა, მაინც რა გაიგიჟა თებერვალმა თავი? რაც ბოლო ორი წელი გვასიამოვნა, სულ ერთბაშად დაგვატეხა მთელი რისხვა თავს. მოინდომა მაგრამ რა მოინდომა! ჯერ კიდევ თვის დასწაყისში შემოგვძახა: ბიჭი ვარ და მოვდივარო! ჩვენც კი შევუძახეთ: ბიჭები ვართ და დაგხვდებითო, მაგრამ რაღაც რიხი რომ გვაკლდა ხმაში, ფაქტია.

ტრადიციულად, ჩვენს მუნიციპალიტეტში (და ბევრგან სხვაგანაც) თებერვალი ყველაზე ნალექიანი თვეა. მაგრამ შარშან და შარშანწინ რაღაც აბუჩად ავიგდეთ და ა, ბატონო! მე თქვენ გაჩვენებთ დაცინვასო და დასცხო მთელი ძალებით. უღელტეხილზე თოვლის საფარი უკვე ორ მეტრს უახლოვდება, სურამის ბევრ უბანში – მეტრს გასცდა. მაღალმთიან სოფლებში 1,5 მეტრია. არა, ძველ თაობას ამისთანაც გვინახავს და ორჯერ უარესიც, მაგრამ ამ გლობალური დათბობის ეპოქაში რაღაც დავიმშვიდეთ თავი და ვიფიქრეთ, დამთავრდა მკაცრი ზამთრებიო... დამთავრდა კი არა, თუ ასე გაგრძელდა (წერილი17 თებერვალს იწერება), მხოლოდ ადგილობრივი ძალებით, ვინძლო, ვეღარც შევძლოთ ამხელა თოვლთან გამკლავება. უფლის წყალობით, ჯერ ზარალზე და რაიმე უბედურებაზე არცაა საუბარი, მაგრამ თუ თოვა ასეთი ინტენსივობით გაგრძელდა, დიდი საშიშროების წინაშე აღმოვჩნდებით. მთლად უარესი თუ მარტში უცებ დათბა. ვფიქრობთ, მუნიციპალიტეტის ხალმძღვანელობა უკვე უნდა ემზადებოდეს პრევენციული ზომებისათვის და რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეც ხდება. მობილიზაცია უკეთდება ტექნიკას, ადამიანურ რესურსებს, რომ თავიდან იქნას არიდებული საშიშროებები.

იმედის თვალით შევყურებთ პროგნოზებს, მაგრამ არც ამ კვირასაა დამაიმედებელი მდგომარეობა. თოვლი და ყინვა ისე არიან ერთმანეთთან „შეკრულები", კაი დედმამიშვილებს შეშურდებათ. არა, ისეთი ალბათ აღარ მოხდება, როგორც თავის დროზე, დავით აღმაშენებლის ეპოქაში, მეისტორიე გვაწვდის ცნობებს, როდესაც დიდმა მეფემ 8 მეტრამდე თოვლის საფარი გაარღვია წიფისა და ფონის მიმდებარედ და ისე გადმოლახა უღელტეხილი. არ მოხდება, მაგრამ ეს ორმეტრამდე თოვლიც რომ პრობლემებს გვიქმნის, ფაქტია!

...გარეთ კი ისევ თოვს, თოვს დაუსრულებლად და ხვავრიელად. ლამაზი კია ეს დალოცვილი! მაგრამ აღარც ამის სილამაზე გვინდა და აღარც მისი „გრაციოზულობა". ნუ დაგვღალე, თებერვალო! სად ხარ, გაზაფხულო, მოდი ჩქარა, როგორ მოგვანატრე თავი!

სურათზე: ხაშური ზამთარში.
(ნიკა კახეთელიძის ფოტო)

გ. გოგოლაძე

შეხვედრა სურამის მოსახლეობასთან

საქართველოს პარლამენტის წევრი, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი, სიმონ

ნოზაძე დაბა სურამის მოსახლეობას შეხვდა: შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო დაბის საკურორტო სეზონისათვის მზადებისა და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის რაიონის გამგებელი, გიორგი გურასპაშვილი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ხელმძღვანელის მოადგილე, მედეა ჯანიაშვილი, ტურისტული პროდუქტისა და ინფრასტრუქტურის განვითარების უფროსი თამარ მაისურაძე, ხარისხის განვითარების განყოფილების უფროსი ნატო მებურიშვილი, ა(ა)იპ-ი „მზოგავი ტურიზმის" განვითარების ცენრის დირექტორი ლელა გიორგაძე. უშუალოდ მათი ხელმძღვანელობით ჩატარდება სხვადასხვა სასწავლო კურსები, ტრენინგები, რითაც ადგილობრივ მოსახლეობას დაეხმარებიან დამსვენებლებისა და ტურისტების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მისაღებად.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე, დაიგეგმება სამომავლო ღონისძიებები, რათა სურამმა, თავისი უნიკალური ჰაერისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, უფრო მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწიოს.

გრძელდება სურამუღას ნაპირსამაგრი სამუშაოები

სურამში, რუსიას ქუჩაზე, სურამულას მარცხენა სანაპიროზე, მიმდინარეობს მდინარის კედლისა და პერანგის მოწყობა. 62 მეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის ღირებულება 60 ათას ლარამე ჯდება. მშენებლობას შპს „თეონა" აწარმოებს. დიდთოვლობამ მცირე კორექტივები შეიტანა მშენებლობაში, მაგრამ როგორც შპს-ს ხელმძღვანელები ვარაუდობენ, კონტრაქტით გათვალისწინებული ვადები არ დაირღვევა და ნაპირსამაგრი სამუშაოები ერთ თვეში დასრულდება.

„გამოიწერეთ და იკითხეთ „ხაშურის მოამბე"

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 15

2017 წლის იანვარი, ხაშური

„„2017 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის განხორციელებისთვის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ““ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 იანვრის #6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 იანვარს მიღებულ იქნა განკარგულება „2017 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის განხორციელებისთვის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“, სადაც დანართი 1-ის მიხედვით ჩამოთვლილია 2017 წელს განსახორციელებელი რვა ინფრასტრუქტურული პროექტის და საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ. ვინაიდან, დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიების გამო, ჩამონათვალს დაემატა კიდევ ხუთი ინფრასტრუქტურული პროექტი და საპროექტო წინადადება, საჭიროა ზემოთადნიშნულ განკარგულების დანართი 1-ში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „2017 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის განხორციელებისთვის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 დეკემბრის №6 განკარგულების დანართი №1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა შუბითიძე**

დანართი №1

	1. რეგიონული სტრატეგიის მიზანი	2. რეგიონული სტრატეგიის ამოცანა	3. პროექტის დასახელება	4. მოსალოდნელი შედეგი	5.ადგილმდებარეობა	7. ხანგრძლივობა და პროგრესი 2017 დაწყება	დასრულება	სავარაუდო ბიუჯეტი	8. პასუხისმგებელი ორგანიზაცია	10 შენიშვნა მოკლე აღწერა (მაქს. 1-3 წინადადება)
	რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) პროექტები 2017 წელს									
1	სოციალური სფერო, მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №1 ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა	წმ. დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია	შენობის რეაბილიტაციის შემთხვევაში გაუმჯობესდება ობიექტის როგორც ისტორიული ისე ტურისტული და კულტურულ/საგანმანათლებლო მნიშვნელობა.	ხაშური , სოფ. ქვიშხეთი	01.04.2017	01.09.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	დაბა ქვიშხეთში წმ. დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის მთავარი შენობის -731.5 კვ. მ - სრული რეაბილიტაცია (გადახურვა, გათბობა, ვენტილაცია...)
2	სოციალური სფერო, მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა,	ამოცანა №1 ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა,	ხაშურში შუშის ქარხნის დასახლებაში 8 საბავშვო ბაღისათვის ახალი შენობა ნაგებობის მშენებლობა	№8 საბავშვო ბაღისათვის ახალი შენობა ნაგებობის აშენების შედეგად ბაღში 120 აღსაზრდელისთვის შეიქმნა კომფორტული და ღირსეული პირობები, რაც ხელს უწყობს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჯანსაღ ფიზიკურ და ფსიქოსოციალური განვითარებას. აღსაზრდელების მშობლებს გამოუთავისუფლდათ დრო, მიეცემათთ დასაქმების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგებს და ტექპერსონალს ღირსეული სამუშაო პირობები	ქ.ხაშური	01.04.2017	01.10.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	№ 8 საბავშვო ბაღი იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, დადებულია კონსტრუქციული დასკვნა, რომლის მიხედვითაც შენობა რეაბილიტაციას აღარ ექვემდებარება და საჭიროა ახალი შენობა ნაგებობის მშენებლობა. მუნიციპალიტეტს უკვე აქვს მშენებლობის პროექტი რომლის ღირებულებაა შეადგენს 580 000
3	სოციალური სფერო, მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №2კომუნალური (წყალი, გაზი, კანალიზაცია, დენი და სხვა) მომსახურებით ქალაქებისა და სოფლების უზრუნველყოფა.	დაბა სურამში კიკვიძის და ტალახამის ქუჩების მოასფალტება	ქუჩების მთლიანი სიგრძე შეადგენს 550 გრძ/მ. (**ბენეფიციარი**: **1600 პირდაპირი;**), პროექტის განხორციელების შედეგად მოხდება ქუჩების მოასფალტება (სისქით 5 სმ მსხვილ მარცვლოვანი და 3 სმ წვრილ მარცვლოვანი), გვერდულებზე სანიაღვრე ღარით, რომელიც წყალმრიდ ფუნქციას შეასრულებს და მოსახლეობას დაიცავს გზიდან შესული წყლით დაზარალებისგან. კიკვიძის ქუჩა წარმოადგენს ცენტრალურ მაგისტრალთან, დაბა სურამის ცენტრალურ ქუჩასთან (აღმაშენებლის ქუჩა), სოფ. ბიჯნისთან და სოფ. ბუღაურასთან დამაკავშირებელ გზას. ხოლო ტალახამის ქუჩაზე მდებარეობს საჯარო სკოლა და შესაბამისად გადაადგილება უსაფრთხო გახდება ფეხით მოსიარულეთათვის. ამასთანავე დაბა სურამის ტერიტორიულ ერთეულში შემავალი ოთხი სოფლის მოსახლეობა და პირველად რიგში მოსწავლეები ამ ეზით სარგებლობენ	დაბა სურამი	01.04.2017	01.08.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	
4	სოციალური სფერო, მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №2კომუნალური (წყალი, გაზი, კანალიზაცია, დენი და სხვა) მომსახურებით ქალაქებისა და სოფლების უზრუნველყოფა.	სოფელ ქვ. ოსიაურში გზის მოასფალტება	პროექტის განხორციელების შედეგად მოხდება 600 გრძ/მ გზის მოასფალტება (სისქით 5 სმ მსხვილ მარცვლოვანი და 3 სმ წვრილ მარცვლოვანი), გვერდულებზე სანიაღვრე ღარით, რომელიც წყალამრიდ ფუნქციას შეასრულებს. სოფლის გზის მოასფალტებით გაუმჯობესდება სოფ. ზემო ოსიაურთან დაკავშირება. წლის განმავლობაში რამდენჯერმე ხდება აღნიშნული გზის საფარის ქვიშა-ღორღით მოსწორება, რაც უფრო მეტ ფინანსურ რესურსს მოითხოვს, ვიდრე მოასფალტებული გზის საფარის მოვლა.	ხაშური, სოფ. ოსიაური	01.04.2017	01.08.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	
5	სოციალური სფერო მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №1 ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა;	ხაშურში სპორტ კომპლექსის მშენებლობა	სპორტ კომპლექსის მშენებლობა ხელს უწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და დამკვიდრებას. განვითარდება სხვადასხვა სპორტული სახეობები და ხელი შეეწყობა სხვადასხვა დონის სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. გაუმჯობესდება ქალაქის ინფრასტრუქტურა და იერსახე, რომლითაც სარგებლობს სხვადასხვა ასაკის, სქესის და კვალიფიკაციის დაახლ. 30 000-მდე ბენეფიციარი.	ქ.ხაშური	11.04.2016	30.10.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ობიექტის მშენებლობა დაიწყო 2016 წელს და დასრულდება 2017 წ.
6	სოციალური სფერო, მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №1 ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა	ქ. ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მშენებარე სპორტკომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტერიტორიის კეთილმოწყობა.	სპორტ კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის 11292 კვმ ფართობი მოწესრიგდება, გამწვანდება და კეთილმოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით და გაუმჯობესდება ქალაქის იერსახე. ტერატორიაზე შესაძლებელი გახდება მცირე ბიზნესის განვითარება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკური აქტივობის ზრდას	ქ.ხაშური	01.04.2017	01.08.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	აღნიშნული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე გამოცხადებულია ტენდერი.
7	სოციალური სფერო, მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №2კომუნალური (წყალი, გაზი, კანალიზაცია, დენი და სხვა) მომსახურებით ქალაქებისა და სოფლების უზრუნველყოფა.	სოფელ მცხეთიჯვარში ასფალტობეტონის გზის და სანიაღვრეების მოწყობა	სოფელი მდებარეობს კონფლიქტისპირა საზღვარზე და ამავე გზით ხდება სოფ. წაღვლთან დაკავშირება. გზის მთლიანი სიგრძე შეადგენს 680 გრძ/მ. (ბენეფიციარი: 200 პირდაპირი; პროექტის განხორციელების შედეგად მოხდება ბეტონის გზის დაგება სანიაღვრეების მოწყობით. წლის განმავლობაში რამდენჯერმე ხდება გზის საფარის ქვიშა-ღორღით მოსწორება, რაც უფრო მეტ ფინანსურ რესურსს მოითხოვს, ვიდრე ბეტონის გზის საფარის მოვლა.	ხაშური, სოფ. მცხეთიჯვარი	01.04.2017	01.08.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	
8	სოციალური სფერო, მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №2კომუნალური (წყალი, გაზი, კანალიზაცია, დენი და სხვა) მომსახურებით ქალაქებისა და სოფლების უზრუნველყოფა.	სოფელ ალში გზის მოასფალტება	პროექტის განხორციელების შედეგად მოხდება 1100 გრძ/მ გზის მოასფალტება (სისქით 5 სმ მსხვილ მარცვლოვანი და 3 სმ წვრილ მარცვლოვანი), გვერდულებზე სანიაღვრე ღარით, რომელიც წყალამრიდ ფუნქციას შეასრულებს. სოფლის გზის მოასფალტებით გაუმჯობესდება სოფ. ბრილთან დაკავშირება. წლის განმავლობაში რამდენჯერმე ხდება აღნიშნული გზის საფარის ქვიშა-ღორღით მოსწორება, რაც უფრო მეტ ფინანსურ რესურსს მოითხოვს, ვიდრე მოასფალტებული გზის საფარის მოვლა.	ხაშური, სოფ. ალი	01.04.2017	01.08.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	
9	სოციალური სფერო მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №1 ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა;	ხაშურში თევდორე მღვდლის და 9 აპრილის ქუჩებზე მინი სტადიონების მოწყობა	მინი სტადიონების მშენებლობა ხელს უწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და დამკვიდრებას. ხელი შეეწყობა სხვადასხვა დონის სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. გაუმჯობესდება ქალაქის ინფრასტრუქტურა და იერსახე, რომლითაც სარგებლობს სხვადასხვა ასაკის, სქესის და კვალიფიკაციის დაახლ. 300-მდე ბენეფიციარი.	ხაშური	20.03.2017	20.06.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	
	ადგილობრივი ბიუჯეტი									
1	სოციალური სფერო მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №1 ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა;	ქ. ხაშურში კულტურის სახლის დარბაზის და სცენის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია	შენობის რეაბილიტაციის შემთხვევაში გაუმჯობესდება ობიექტის როგორც ისტორიული ისე ტურისტული და კულტურულ/საგანმანათლებლო მნიშვნელობა.	ხაშური	01.04.2017	01.08.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	
2	სოციალური სფერო მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №1 ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა;	ხაშურის მუნიციპა:ლიტეტის ტერიტორიაზე მინი სტადიონების მოწყობა	მინი სტადიონების მშენებლობა ხელს უწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და დამკვიდრებას.	ხაშურის მუნიციპალიტეტი	30.04.2017	30.08.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	
3	სოციალური სფერო მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №1 ჯანსაღი და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა;	ქ. ხაშურში და დაბა სურამში სკვერების მოწყობა	დაბა სურამში ყოფილი რკინიგზის სადგურზე სკვერის მოწყობით და ქალაქ ხაშურში გაგარინის ქუჩაზე სკვერის მოწყობით, გამწვანდება და კეთილმოეწყობა ქალაქის იერსახე. ტერიტორიაზე შესაძლებელი გახდება მცირე ბიზნესის განვითარება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკური აქტივობის ზრდას. ახალგაზრდებისთვის შეიქმნება დასასვენებელი ადგილი.	ხაშური, დაბა სური	01.05.2017	01.08.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	
4	სოციალური სფერო, მიზანი №3 ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა	ამოცანა №2კომუნალური (წყალი, გაზი, კანალიზაცია, დენი და სხვა) მომსახურებით ქალაქებისა და სოფლების უზრუნველყოფა.	ქ. ხაშურში მდ. სურამულაზე ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა	პროექტი ითვალისწინებს მდინარის ნაპირზე ნაპირსამაგრი კედლის აშენებას. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების შედეგად სტიქიისგან დაცული იქნება საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და სავარგულებთან მისასვლელი გზები. შემცირდება დაზიანების რისკი რომელიც მოვარდნილმა ღვარცოფმა შეიძლება გამოიწვიოს: მდინარის კალაპოტის რღვევა, გზის სავალი ნაწილის შევიწროება და სამანქანო ხიდების დაზიანება და ამით გამოწვეული მატერიალური ზარალი და მსხვერპლი.	ხაშური	20.04.2017	01.09.2017		ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	

ტაში პროგრამის მიღებას კი არა, მის შესრულებას უნდა დავუკრათ...

გთხოვთ, ეს წერილი მოცლილი კაცის ნაწერად არ ჩათვალოთ.

საქმე იმაშია, რომ მთელი შეგნებული ცხოვრების უდიდესმა ნაწილმა სახელმწიფოს მიერ დასახულ რეფორმებში გაიარა და ამ გზას ვადგავართ დღესაც.

გარემოება ცვალებადია და, რა თქმა უნდა, მასზე მოსარგებად საჭიროა, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, დროის შესაფერისი ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ ჩემამდე ვერ დავიდა თუ რა აუცილებლობას წარმოადგენს ყველა ახლადდანიშნული მინისტრის მიერ დარგში რეფორმების გატარება, ნუთუ გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა გაგვაჩნდეს?

მე რომ ხელისუფალი ვიყო, დარგის მინისტრად შერჩევას უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობდი, ვიდრე მის მიერ შემოთავაზებულ რეფორმებს. საკითხს რომ ამ კუთხით მიდგომოდნენ, განათლების მინისტრებად დარგის სპეციალისტები დაინიშნებოდნენ და არა ტექნიკოსები და ა.შ.

რამდენჯერ მინატრია, ნეტავი ჩემი მასწავლებლები ცოცხლები იყვნენ და საშუალება მომცემოდა მათ მიერ აღზრილი მინისტრების და სხვათა სახელით

ბოდიში მომეხადა მათთვის იმ უთავბოლო გადაწყვეტილებებისა და დაუსრულებელი რეფორმების გამო, რომლებიც გულს ტკენენ ჭაღარა მასწავლებლებს.

ყველა მასწავლებელმა, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და მიიღო სათანადო განათლების დამადასტურებელი დიპლომი. კი, მაგრამ თავისი პროფესიის შესანარჩუნებლად, რამდენჯერ ითხოვენ მათგან ახალ-ახალი გამოცდების ჩაბარებას?

ვინმემ დამისახელოს და დამიდასტუროს, რომელი პროფესიის ადამიანებს უშრობენ ასე სისხლს? რომელი ინჟინერი, იურისტი, ექიმი, აგრონომი და ა.შ. აბარებს თითქმის ყოველწლიურად გამოცდებს?

მე წინააღმდეგი არა ვარ, რომ დროთაგანმავლობაში ყველა პროფესიის სპეციალისტმა აიმაღლოს კვალიფიკაცია, თუ მის დარგში რაიმე სიახლეები შემოვიდა და დაინერგა, მაგრამ მუდმივად მასწავლებლების ნერვების გაღიზიანება, დანაშაულად მიმაჩნია. ამით ფსიქიკას ვუმახინჯებთ ადამიანებს, რომლებმაც ჩვენი პიროვნებების ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს, ეს ხომ უმადურობაა.

ყველა ეპოქის მთავრობა ცდილობდა თავისი ქვეყნის განვითარებას, რომ ხალხისათვის კარგი გაეკეთებინა, ამ მიზნით ამუშავებდნენ მეცნიერულად დასაბუთებულ თუ დაუსაბუთებელ პროგრამებს და მიწიერი სამოთხის აშენებას ჰპირდებოდნენ ხალხს, ხალხი ტაშის გრიალით ხვდებოდა მიზნებს, მაგრამ პროგრამის შესრულების შედეგების დადგომამდე, მთავრობები იცვლებოდნენ და მასებს ხელახლა უწევდათ გაშვერილი, ცარიელი კოვზის პირში გამოვლება.

ყველაზე გრანდიოზული პროგრამა, რომელიც შემუშავებული იყო ჩვენში, გახლდათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა, რომელსაც შემდეგში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა უწოდეს.

იმ პერიოდში მე, რიგითი ჯარისკაცის რანგში, სავალდებული სამხედრო სამსახურს გავდიოდი საბჭოთა არმიის რიგებში. მახსოვს, განუწყვეტელი პოლიტინფორმაციები და პოლიტმეცადინეობები, რომლებსაც გვიტარებდნენ პოლიტმუშაკები, გვარწმუნებდნენ რომ ჩვენი თაობა იცხოვრებდა კომუნიზმში, რომელიც უკვე 1980-იან წლებში შემოაბიჯებდა ჩვენს ცხოვრებაში.

მთავარი ის არის, რომ მათაც სჯეროდათ და ჩვენც გვარწმუნებდნენ, რომ ეს ნამდვილად მოხდებოდა. მაშინ აზრად ვის მოუვიდოდა ან ვინ გაბედავდა იმის თქმას, რომ ამ ფანტასტიკურ გზაზე, რომელსაც კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდი უწოდეს, წინ შეგვხვდებოდა განვითარებული სოციალიზმის ფაზა, შემდეგ კი უფსკრული, რომელიც შთანთქავდა იდეას, რომელსაც შეეწირა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე.

გადავწყვიტე, კიდევ ერთჯერ, თვალი გადამევლო აღნიშნული პროგრამისთვის, დღევანდელი გადასახედიდან შემეხედა და შემეფასებინა იმ პარტიის მიზნები, რომლის წევრიც ვიყავი 29 წლის განმავლობაში და მეამაყებოდა, რომ თითქმის ვიდექი კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში, თუმცა, პარტიაში არასოდეს მკავებია რაიმე თანამდებობა, გარდა პირველადი პარტორგანიზაციების უხელფასო მდივნის და ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილისა.

სკკპ რიგებში ყოფნა მე არ მეთაკილება. გავიზარდე ისეთი, როგორც იყო გარემოცვა. ყველა ხომ ვერ წავიდოდა იატაკქვეშეთში?

უზნეობა იქნებოდა ყველაფრის გაბიაბრუება და მხოლოდ უარყოფითად შეფასება. ამ პროგრამის დიდი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა მეცნიერების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლების, ტრანსპორტის და ა.შ. განვითარებას, პროგრესულია და მისი მიღწევა შესაძლებელი იყო, მაგრამ კრიტიკას ვერ უძლებს მისი იდეოლოგიური მიმართულებანი, არ არის შეფასებული სურვილი და შესაძლებლობანი, გარე ფაქტორები, ადამიანთა შემეცნების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პერიოდი და ა.შ.

ძალიან ახლოს ეგონათ ის მწვერვალი, სადაც საბჭოთა ხალხს კომუნიზმის დროშა უნდა აღემართათ. ეს იმიტომ ხდებოდა, კაპიტალიზმის ლპობისა და კომუნიზმის გამარჯვების სურვილი და სინამდვილე ერთმანეთში აერიათ, ეგონათ, მალე ჩამოყალიბდებოდა ახალი საზოგადოებრივი ფორმაცია, რომლის წევრსაც საბჭოთა ადამიანი ერქმეოდა და იქნებოდა სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობისა. კომუნისტურ წყობას წარმოგვიდგენდნენ, როგორც კაცობრიობის ნათელ მომავალს.

საბჭოთა კავშირი მშვიდობიან თანაარსებობას ქადაგებდა, მაგრამ აურაცხელ თანხას ხარჯავდა შეიარაღებაში.

მსოფლიოს დასაშინებლად ნ. ხრუშჩოვმა მოხსენებაში განაცხადა:

„...ძალიან წარმატებით მიდის ჩვენში ატომგულური იარაღის გამოცდაც. მალე დავამთავრებთ ამ გამოცდას, ალბათ, ოქტომბრის დამლევს, დასასრულს, ალბათ, ავაფეთქებთ 50 მილიონი ტონა ტროტილის სიმძლავრის წყალბადის ბომბს. ჩვენ ვამბობდით, რომ 100 მილიონი ტონა ტროტილის სიმძლავრის ბომბი გვაქვს. ეს მართალია, მაგრამ ასეთ ბომბს ჩვენ არ ავაფეთქებთ, მაშინაც შეიძლება ჩვენი ფანჯრები ჩავამტვრიოთ. ...მაგრამ 50 მილიონიანი ბომბის აფეთქებით ჩვენ გამოვცდით მოწყობილობას 100 მილიონიანი ბომბის აფეთქებისთვისაც“.

ეს სიტყვები 1961 წლის 17 ოქტომბერსაა ნათქვამი.

ასეთი სიმძლავრის ბომბის აფეთქების შედეგების წარმოსახვაც კი შემზარავია.

მანვე, თავის მოხსენებაში, ილაპარაკა იმ ახალი რაკეტების გამოცდის შესახებ, რომელთა გაფრენის მანძილია 12 ათასი და მეტი კილომეტრი და გამოირჩევიან გათვალისწინებულ რაიონში მიღწევის სიზუსტით.

ეს იყო 55 წლის უკან. წარმოიდგინეთ, ახლა რა სიმძლავრეებს ფლობენ განვითარებული ქვეყნები და ვის დაგვიპირისპირა თავქარიანმა მთავარსარდალმა სააკაშვილმა.

დავუბრუნდეთ საკითხს: ტაში პროგრამის მიღებას უნდა დავუკრათ თუ მის შესრულებას?!

იმის გამო, რომ საგაზეთო წერილი ვერ იტანს საკითხებზე ფართოდ მსჯელობას, მოკლედ მოგახსენებთ, რომ სკკპ XXII ყრილობას ცენტრალური კომიტეტის ანგარიში წარუდგინა ცკ მაშინდელმა პირველმა მდივანმა ნ.ს. ხრუშჩოვმა 1961 წლის 17 ოქტომბერს. მანვე, 18 ოქტომბერს, გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ, 27 ოქტომბერს წარმოთქვა საბოლოო საბოლოო სიტყვა, 31 ოქტომბერს გააკეთა ინფორმაცია პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების შედეგების შესახებ და 31 ოქტომბერს წარმოთქვა საბოლოო სიტყვა ყრილობის დახურვისას.

ახლა წარმოგიდგენთ სურათს, თუ როგორი პათოსით მიმდინარეობდა პარტიის ყრილობა და როგორი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ დელეგატები პარტიის ლიდერის სიტყვებს.

ნ. ს. ხრუშჩოვს აღნიშნულ საკითხებზე გამოსვლისას ბრიბუნასთან ყოფნის დროს დაუკრეს:

- ტაში ---------- 160-ჯერ;
- ხანგრძლივი ტაში --- 98-ჯერ;
- მჭუხარე ტაში და ხანგრძლივი მჭუხარე ტაში - 96-ჯერ;
- ოვაცია გაუმართეს -- 5-ჯერ;
- დარბაზმა იცინა (ან იხარხარა) ------- 10-ჯერ;
- დარბაზის გამოცოცხლება (?) მოხდა --- 20-ჯერ.

ე.ი. ყრილობის დარბაზში მყოფმა დელეგატებმა 389-ჯერ გამოხატეს აღფრთოვანება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შედეგებისა და კომუნიზმის აშენების პროგრამის მიღების გამო.

ნ. ხრუშჩოვის გარდა, ყრილობაზე, რომელიც 15 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, სიტყვით გამოვიდა ათობით დელეგატი და საზღვარგარეთის სოციალისტური და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული კომპარტიის წარმომადგენლები ე.ი. კიდევ რამდენჯერმე იგრიალა ტაშმა.

არავის დაუთვლია, საერთო ჯამში, ყრილობაზე რამდენხანს გრძელდებოდა ტაშის გრიალი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდა 500-ჯერ და ის გაგრძელდა 6 საათს. ვისდა ეცალა კომუნიზმის აშენებისთვის? ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტაშისმცემელთაგან სკამზე დაჯდომას ვერავინ ბედავდა, სანამ ყრილობის პრეზიდიუმის ყველა წევრი არ დაჯდებოდა. ისინი კი არ ჩქარობდნენ ხოლმე. მლიქვნელობა ხომ სხვადასხვა ფორმებში გამოიხატება.

1961 წლის 17 ოქტომბერს დაწყებული ტაშის კვრა 1964 წლის 14 ოქტომბერს დამთავრდა ხრუშჩოვზე წიხლის კვრით. მანამდეც და მის შემდეგაც, კარიერა, ასეთი შედეგით, ბევრმა „დიდმა კაცმა“ დაასრულა და თუ რეალობას მოწყდება, მომავალშიც ბევრი დაასრულებს, ასე მოუვა პროგრამებსაც.

ბევრი ტაშის კვრა თავბრუსხვევას იწვევს. ამიტომაც, ტაში შეპირებებს კი არა, მის შესრულებას უნდა დავუკრათ, ანუ, როგორც ნათქვამია: ჯერ გადახტი და ჰოპლა მერე დაიძახე-ო.

რევაზ გრიგალაშვილი

ხელოვანი -გამომგონებელი -- ერთ პიროვნებაში მოქცეული იშვიათი სინთეზი

გიორგი შუბითიძეს, ქართლის რეგიონში, კარგად იცნობენ, როგორც ნიჭიერ მუსიკოს, პედაგოგსა და მრავალი თაობის აღმზრდელს. დღეს გვინდა, მის განსხვავებულ საქმიანობაზე მოგიყვეთ, რომელიც სულ არ ჰგავს მუსიკას, პირიქითაც კი, შორსაა სულიერებისგან, თუმცა, როგორც ბატონი გიორგი ამბობს, ორივე საქმე მისი ნაწილია, პროცესია, რომელშიც მთელ მონდომებას დებს. უფრო მარტივად, სულიერ მხარეს, მატერიალურით ამაგრებს-აკეთებს დანადგარებს, მრავალფუნქციურ წისქვილს, ჩირის საჭრელ-საშრობს, პოლიეთილენის ბოთლების საჭრელს. მათგან მიღებული პროდუქცია კი, ადგილობრივ

ბაზარზე გააქვს. მასთან სტუმუმრობისას უამრავი მოწყობილობა, დანადგარი ვნახეთ, მისივე ხელით აწყობილი. ზოგს დასრულებული ფორმა ჰქონდა, უკვე გამართული იყო და ნაწარმსაც იძლეოდა, ზოგი კეთების პროცესში იყო. მაგრამ მხოლოდ ერთ კაცზეა მორგებული, მცირე სიმძლავრის და მოცულობის. დავინტერესდით, თუ არსებობს შესაძლებლობა შექმნა ასეთი ტიპის დანადგარები და წარმოებულ პროდუქციაზეც მოთხოვნაა ბაზარზე, რატომ არ აფართოებს და არ აძლევს სერიოზულ სახეს ამ საქმიანობას? სანამ ამ კითხვაზე მივიღებდით პასუხს, ბატონი გიორგი სხვა თემებზეც გვესაუბრა.

–გარდა ჩემი ძირითადი საქმიანობისა, რომელიც ბავშვობიდან მუსიკას უკავშირდება, ჩემი მეურნეობა მაქვს სახლში, შინაური, მსხვილფეხა საქონელი მყავს, ამან კი დამატებითი მოთხოვნილებები გააჩინა. თავდაპირველად წისქვილი გავაკეთე, მათი გამოსაკვებად. მივხვდი, რომ შეიძლებოდა სიმინდისგან რამდენიმე სახეობის პროდუქტი მეწარმოებინა. ყვითელის შემდეგ, თეთრი სიმინდის დაფქვა დავიწყე, გასაყიდადაც გავიტანე. ბაზარზე მოთხოვნილება გაჩნდა ღერღილიც დამეფქვა, შემდეგ ბურბუშელას წარმოებაც დავიწყე. საცრებს დავუმატე ახალი დანადგარი, რომელმაც შესაძლებლობა მომცა, სხვადასხვა პროდუქცია მეწარმოებინა, მათ შორის ხორბლის ღერღილი. იდეაში მაქვს არყის გამოხდა გამომცხვარი პურისგან. ამჟამად მაქვს წისქვილი, რომელიც ოთხი დასახელების ნაწარმს იძლევა: ფქვილი, ღერღილი, ბურბუშელას მასალა და მანის ბურღული. მაქვს ასევე, ხორბლის დასაღერღი დანადგარი, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს და მოთხოვნილება სულ არის. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ, ბოლომდე ამ საქმეზე ვიყო ორიენტირებული.

-როგორც ვიცი, ეს მოწყობილობები თქვენივე ხელითაა აწყობილი...

–დიახ, რასაც ხედავთ, ყველაფერი ჩემი აწყობილია. წისქვილიც მე ავაწყე. მუშაობის პრინციპი ნანახი მქონდა, მაგრამ რაც მე მაქვს, ასეთი არსადაა. ნაკლებ ელ. ენერგიას მოიხმარს და რამდენიმე პროდუქციას აწარმოებს. ჩირის აპარატიც ჩემი გაკეთებულია. წვეთოვანი სარწყავი სისტემაც, რომლის ანალოგიც მაღაზიაში ვნახე და პრაქტიკაში გადმოვიტანე, ასევე, პოლიეთილენის ბოთლების საჭრელი დანადგარი, რომლისგანაც დაახლოებით 6-8 მეტრი "ლენტი" მიიღება, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულებით ვიყენებ. ამ დანადგარის სრული დატვირთვით ამუშავების შემთხვევაში, შემიძლია, ჩვენი მუნიციპალიტეტი მთლიანად გავათავისუფლო პოლიეთილენის ნარჩენებისგან.

- სხვადასხვა დანადგარი დავინახე, რომლის დანიშნულებაც ჩემთვის უცნობია...

–ჩირის გასაშრობი დანადგარიც მაქვს, სადაც ტყემლის გახეხვაცაა შესაძლებელი და ტყლაპის გაშრობაც. ტყემლიდან ვიღებ ტყლაპის მასალასაც და ე.წ კვაწარახსაც. რათქმა უნდა, ესეც ჩემი აწყობილია და სეზონურად ვამუშავებ.

- არ გიფიქრიათ, წარმოების გაფართოება, მუშახელის დამატება, რაც რეალურად, მეტ შემოსავალს მოგცემდათ?

–ინდ.მეწარმე ვარ, რომელიც ამ ეტაპზე მარტო ვმუშაობ. მოთხოვნილება იმდენად დიდია ბაზარზე, ვერ ვაკმაყოფილებ. შემიძლია მთლიანად რეგიონი ავითვისო, მაგრამ ამისთვის შესაბამისი ფულადი რესურსი არ მაქვს. მაგალითად, მანის ბურღულის მასალას ვერ ვყიდი, თავისი შეფუთვა უნდა, ლიცენზია, რასაც სერიოზული მიდგომა ჭირდება.

- რეალიზაციას სად ახდენთ?

–ჩემი გასაღების ბაზარი ხაშური და გორია, მარტო ერთი ადამიანისთვის რთულია რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთება. ავიყვანე დამხმარე, მაგრამ ვერ იმუშავა. თავდაპირველად, როდესაც ბურბუშელის წარმოება დავიწყე, გომი, ჩუმათელეთი, ხაშური და ბორჯომი ავიღე, ერთ თვეში, დაახლოებით, 3000 ლარი დარჩა მოგების სახით, მაგრამ აქ ისევ დროის უქონლობის ფაქტორია.

- ვინმე თუ იცნობს თქვენს გამოგონებებს?

–10 თებერვალს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ხელშეწყობით, ვიმყოფებოდი ინოვაციის შეხვედრაზე, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა ჩემმა საქმიანობამ, იდეებმა. შემომთავაზეს დახმარება, რომელიც შეიძლება პროექტის წარდგენის შემდეგ მოხდეს, თუმცა, პროექტის წერის გამოცდილება ამ ეტაპზე, მე არ მაქვს.

- როგორც დავინახე, საქმე, რომელსაც თქვენ აკეთებთ, გარდა მატერიალური ინტერესისა, ძალიან სასიამოვნოა თქვენთვის...

–ორი საქმის კეთება ერთდროულად ძალიან რთულია. ხელოვნება დღეს არ იძლევა იმის შესაძლებლობას, ოჯახი უზრუნველვყო ფინანსურად, ამიტომ, დიდი სურვილი მაქვს, ეს საქმე განვავითარო. ორი სტუდენტი შვილი მყავს, მოგეხსენებათ, ეს რამხელა ხარჯთანაა დაკავშირებული. ჩემი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო საქმე მაინც მუსიკაა, ყველაზე მეტია ჩემში. ეს საქმე, მეორე მხარეა, რომელიც ამაგრებს სულიერს მატერიალურით.

თ. ჯავახიშვილი

საინტერესო შეხვედრა

წინა კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ შექმნილი მხატვრული ფილმის შემოქმედებით ჯგუფთან შეხვედრა შედგა. “წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი”-ასე ჰქვია ფილმს, რომელიც ქართველ ისტორიკოსს, არქეოლოგს, საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელს, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანს ექვთიმე თაყაიშვილს ეძღვნება.მან ყველა დიდ ცდუნებას გაუძლო. მიუხედავად გაჭირვებისა, სტრესისა და სიძნელეებისა, საფრანგეთში, ექვთიმეს ემიგრანტული ცხოვრების მანძილზე, მისი ნებისყოფა მაინც არ გატყდა და ბოლომდე პირნათლად შეასრულა ურთულესი მისია სამშობლოს წინაშე.

ექვთიმე თაყაიშვილმა, 24 წლის მანძილზე, დაიცვა, შეინახა და უდანაკარგოდ დააბრუნა უნიკალური ქართული განძი სამშობლოში. ასევე, საკუთარი და მეგობრების ხარჯებით, შეისყიდა და შემატა რამდენიმე უნიკალური ექსპონატი ამ განძს.

ფილმის რეჟისორი და პროდიუსერი ნიკოლოზ ხომასურიძეა, ფილმის პროდიუსერები: ლაშა ონიანი, ფრიდონ მჭედლიძე. .ფილმში ექვთიმეს როლს ასრულებს ცნობილი ქართველი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი.

შემოქმედებითი ჯგუფის თქმით, ფილმის გადაღება მიმდინარე წლის მაისის ბოლოს დასრულდება.

გელა გელაშვილის მუსიკანარევი მხატვრობა

ამ წერილში ერთი საინტერესო ხელოვანი კაცის შესახებ მოგითხრობთ, რომლის პიროვნებისა და შემოქმედების გაცნობით, თავადაც სასიამოვნოდ გაკვირვებული და გახარებული დავრჩი. კარგი სიტყვა გვაქვს ქართველებს „თვითნაბადი", ჰოდა, პირველ რიგში, სწორედ ამ სიტყვას მოვიშველიებ ხაშურელი მხატვრის **გელა გელაშვილის** თქვენთვის უკეთ გასაცნობად. უმეტესად პორტრეტებს ხატავს, სიხარულნარევს თუ სევდანარევს, მოცინარს თუ მოტირალს, ...მის ნამუშევრები სიუჟეტების ათასგვარობით გამოირჩევა. პორტრეტებს იმასაც შეამჩნევთ, რომ ისინი მზად არიან, წამი-წამზე გაცოცხლდნენ და თავისი ისტორია მოგითხრონ, მაგრამ მეორე წუთში მიხვდები, რომ იმ საიდუმლოს ბოლომდე არასოდეს გაგანდობენ ,რაც მხატვარმა შექმნის პროცესში, განურჩევლად ყველას, საგულდაგულოდ გაუმხილა.

ბოლო დროს, სოციალურ ქსელში ახალ გამოწვევას წავაწყდი, რომელიც ხელოვნების, კონკერტულად კი მხატვრობის პოპულარიზაციას ემსახურება, მომხმარებლები საკუთარ გვერდზე ცნობილი მხატვრის ნამუშევრებს აზიარებენ. რემბრანტი ან რაფაელი რომ გენიალურია, ამაზე ყველა ვთანხმდებით, პირადად მე კი ვფიქრობ, რომ ბატონ გელასნაირი თვითმყოფად მხატვრებს უფრო მეტი თანადგომა სჭირდებათ, რათა თანამედროვე მხატვრობაში კუთვნილი, გამორჩეული ადგილი დაიკავონ. ორმაგად სასიამოვნოა, რომ ის ჩვენი რაიონის წარმომადგენელია.



- ბატონო გელა, მოგვიყევით მხატვრობის იმ მიმდინარეობაზე, რომელზეც მუშაობთ...

– ჩემი ნამუშევრებს კონკრეტული მიმდინარეობის ჩარჩოებში არ ვსვამ, ვფიქრობ, თავისუფალი ვარ ამ მხრივ, ისევე, როგორც მხატვრობაა უკიდეგანო და არანაირ წესებსა და კანონებს არ ემორჩილება. ვქმნი ძირითადად ფსიქოლოგიურ პორტრეტებს, რომელშიც საკუთარი განცდები გადმომაქვს და მსურს, ისინი რეალობაში გავაცოცხლო, რაც მთავარია, არ უნდა იგრძნობოდეს სიყალბე.



- ცხოვრების რა ეტაპზე მოვიდა თქვენთან მხატვრობა?

– ვყოფილიყავი მხატვარი, ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობიდანვე მსურდა. ჯერ კიდევ 5 წლის ვიყავი, როდესაც მხატვრობისადმი და ზოგადად, ხელოვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გამიჩნდა. სხვათაშორის, ბაბუაჩემი ხატავდა საკმაოდ კარგად და პირველი გაკვეთილებიც სწორედ მასთან გავიარე. რაც უფრო ვიზრდებოდი და ასაკი მემატებოდა, ვგრძნობდი, მე და მხატვრობა განუყოფელნი უნდა ვყოფილიყავით, თუმცა, ამ მხრივ, ოჯახიდან წინააღმდეგობას წავაწყდი, მამას არ სურდა ეს გზა ამერჩია ან თუნდაც რომელიმე ხელოვნების სფერო. ისე კი, სკოლის დამთავრების შემდეგ, სარეჟისოროზეც კი მინდოდა ჩაბარება. ამგვარი წინააღმდეგობიდან გამომდინარე, გარკვეული პერიოდი შევჩერდი და 27 წლის ასაკში, დავოჯახდი, სულისკვეთება კი ორმაგად გაძლიერდა, მას შემდეგ აღარც გავჩერებულვარ.

- რამ განაპირობა თქვენი ასეთი სიყვარული ხელოვნებისადმი და უშუალოდ მხატვრობისადმი, როგორ მოხდა რომ ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, არ გაგინელდათ ის ბავშვობისდროინდელი განცდები?

– ვფიქრობ, რამდენჯერაც არ უნდა დავიბადო, მაინც იმ კონდინციამდე მივალ, რომ მხატვრობა და უშუალოდ, ხატვის პროცესი ჩემთვის ცხოვრების არსია. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს ხატვა, ხანდახან, მგონია კიდეც, როდესაც ხატვას ვამთავრებ, სამოთხის მდგომარეობიდან ჯოჯოხეთის მდგომარეობაში გადავდივარ. გარემომაც გარკვეული როლი ითამაშა ჩემ კარიერულ გზაზე. თითქმის ყოველდღე, მე და ჩემი მეგობრები: რობერტ ბაღდავაძე, გია კუპრაძე, ვასიკო ძინძიბაძე, ნოდარი გელაშვილი, ჩემი ძმა უჩა, ვიკრიბებოდით ერთ ოთახში, ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, ვკითხულობდით ლექსებს, ვარჩევდით პოეზიას და პროზას, ვუსმენდით როკს. უდიდეს მხარდაჭერასა და თანადგომას ვგრძნობდი ჩემი ძმისგან, მისი დიდი დამსახურებაა ჩემი, როგორც მხატვრად ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება გია კუპრაძეს, ის არქიტექტორი და სიურიალისტია, მთელი ცხოვრება ჩემს გვერდითაა, ჩემი „განმკონტროლებლის" ფუნქცია იკისრა, იმიტომ რომ მხატვრობაში ცოტა ბარბაროსიც კი ვარ. როგორც წესი, არავის ვუჯერებ, თუმცა, რაც შეეხება ჩემი ნამუშევრების ტექნიკურ მხარის და სხვა გარკეული დეტალების სრულყოფის საქმეში, გიას აზრს ხშირად ვითვალისწინებ.

- თუ იყო თქვენი სურვილი და შესაძლებლობა იმისა, რომ თქვენი შემოქმედება ფართო მასებისთვის გაგეცნოთ?

– სიმართლე გითხრათ, თავის გამოჩენა არასოდეს მსურდა. ჩემი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა ფართო მასებზე გავსულიყავი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხატვრობაში ჩემი სამყარო მაქვს, უმთავარესია ხატვის პროცესი. თუმცა, მხატვარი გია ბუღაძე იყო ხაშურში ჩამოსული და ძალიან მოეწონა ჩემი მხატვრობა, მას შემდეგ კი, რაც ჩემი ნამუშევრები სოციალურ ქსელში განვათავსე, უფრო მეტი მოწონება დაიმსახურა ხალხის მხრიდან. დიდ მოწონებას იმსახურებს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მხატვრების მხრიდან, შესაბამისად, მეც მოხარული ვარ ასეთ დადებითი შეფასებებით.

- ბატონო გელა, გამოფენაზე არ გიფიქრია, ან თუ ყიდით ნამუშევრებს?

– გამოფენასთან დაკავშირებით მქონდა შემოთავაზება თბილისში, თუმცა, ეს ყველაფერი გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული, ნამუშევრის ჩარჩოს გაკეთება, ვერნისაჟის დონემდე მიყვანა. ხაშურის კულტურის სამსახურმა აღმითქვა ამ საქმეში დახმარება და სავარაუდოა, რომ ჩემი ნამუშევრები დღის სინათლეს იხილავს. რაც შეეხება რეალიზაციას, ჩემი 13 ნამუშევარი ხაშურში სასტუმრო „ივერიას" ოთახებს ამშვენებს. ასევე საუბარი იყოს რესტორან „მამაპაპურის" ჩემი ნახატებით გაფორმებაზეც. თუმცა, ჯერჯერობით, არ მოხერხდა, სურვილი კი მქონდა. ამჯერად ქართულ თემატიკაზე უნდა მემუშავა, რომელიც ძალიან მომწონს და თავსაც ერთგვარად გამოვცდიდი კიდეც.

- თქვენი მხატვრობა ინსპირაციას საიდან იღებს?

– საჭირო სიუჟეტის პოვნა ყველაზე მნიშვნელოვანია. ინსპირაცია კი უმეტეს შემთხვევაში მუსიკაა. თუ გადახედავთ ჩემ ნამუშავრებს, გარკვეულ ნაწილს „მომენტალური" ნახატები ჰქვია, ნაწილს კი - „ბლიცნახატები". ეს სახელები შემოქმედებით პროცესის ამასხველია: ვრთავ საყვარელ მუსიკას და ნახატს, რომელსაც ამ სიმღერის დასრულებამდე ვამთავრებ, „მომენტალურს" ვარქმევ, თუ ვერ მოვასწარი ამ მონაკვეთში, შემდეგ ნახატი უკვე „ბლიცის" კატეგორიაში გადადის, რომელიც ნახევარ საათში უნდა მოვასწრო. თუმცა, მაქვს ბევრი ისეთი ნახატი, რომლებისთვისაც განსაზღვრული დრო არ მქონია.

- შემოქმედისათვის ოჯახის თანადგომა ბევრს ნიშნავს...

– ჩემი მეუღლე, თავადაა ხელოვანი-კვილინგით არის გატაცებული, ყველანაირად მხარში მიდგას და მგულშემატკივრობს. ორი ბიჭი მყავს. უმცროსს უფრო გამოყვა მხატვრობის ნიჭი და სავარაუდოა, რომ ხელოვნების სფეროს გაჰყვება. მეც, ჩემი მხრივ, ძალიან მინდა, რომ ორივე ხელოვნების დარგში იყვნენ სამომავლოდ. თავად ყოველთვის მსურდა, მოკლემეტრაჟიანი ფილმს გადაღება, ჩემი საყვარელი „არტ ჰაუსის" ჯანრში.

წარმატებას ვუსურვებთ ბატონ გელას. მხატვარი, წლების განმავლობაში ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა, თუმცა ჩვენი მხარდაჭერით, მისი საოცარი ნამუშევრები დღის სინათლეს იხილავს და აუცილებლად დაიკავებს დამსახურებულ ადგილს თანამედროვე მხატვრობაში.

თ. ახალკაცი

გიორგი კვინიკაძე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია

ამ დღეებში, თბილისში, ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში, გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა, სადაც საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მთავარი მწვრთნელების ვინაობა დასახელდა. თავისუფალ ჭიდაობაში, ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით, გიორგი კვინიკაძემ მეტი ხმა მიიღო და ჭაბუკთა ნაკრებს უხელმძღვანელებს.



გიორგი კინიკაძის ბოლოდროინდელი წარმატებები მართლაც თვალსაჩინოა. მისი აღზრდილები ყოველწლიურად გვანებივრებენ გამარჯვებით საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბითაც. სხვათაშორის, მისი მაღალი პროფესიონალიზმი არც თავისუფალი ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციეს დარჩენია უყურადრებოდ და ამ ფედერაციის ეგიდით, გიორგი შუა აზიის ქვეყნების (ყოფილ სსრკ-ში შემავალი) მწვრთნელებს ტრენინგ სემინარებს უტარებს ყოველწლიურად.

გიორგი კვინიკაძე მარტლაც იმსახურებდა ნაკრების მწვრთნელობას და გვჯერა, მისი დამოძღვრილი ქართველი ჭაბუკები, მის ხელში, უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ. რაც მთავარია, ხაშურელი მოჭიდავეებისათვის ეს დიდი სტიმული იქნება მათი სპორტული კარიერის გზაზე. ეს კი ახალ გამარჯვებებს ნიშნავს.

ვულოცავთ გიორგის და კიდევ ერთხელ ვამბობთ: მისი ყოველთვის გვეიმედება!

გიორგი კეკელიძე - ხაშურში

ამ დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სტუმარი იყო პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, პარლამენტის ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე. ავტორმა მკითხველს ორი წიგნი „თომას ზღაპრები“ და „გურული დღიურების“ მეორე ნაწილი წარუდგინა. მწერალმა თავად ისაუბრა წიგნების შესახებ; „გურული დღიურები“ უკვე ეროვნული ბესტსელერია, რაც შეეხება „თომას ზღაპრებს“ ამ წიგნით შედგა გიორგი კეკელიძის, როგორც მეზღაპრის დებიუტი. ავტორი წიგნში წერის ჩვეულ სტილს ინარჩუნებს და ტექსტს მაქსიმალურად ადვილად გასაგებს ხდის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პატარა მკითხველისთვის.

შეხვედრის ბოლოს გიორგი კეკელიძემ მკითხველთა შეკითხვებსაც უპასუხა. ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო კიკნაძე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში მკითხველებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი კეკელიძე სოფელ ხცისს ესტუმრა და პროექტ „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში ხცისის ახალგახსნილ ბიბლიოთეკას წიგნები გადასცა. ხცისის ბიბლიოთეკა 2011 წელს სოფლის სხვა ბიბლიოთეკების მსგავსად დაიხურა. მისი აღდგენა გასულ წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძალისხმევით და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის ხელშეწყობით მოხერხდა. ხცისელმა მკითხველებმა კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატულ თეატრს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მარჯანიშვილის თეატრის დირექტორმა ეკა მაზმიშვილმა ხცისის ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველებს საჩუქრად გადასცა ბილეთები მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლზე „როგორც გენებოთ“. დასასწრებად სპექტაკლის სანახავად ხცისელი მოსწავლეების თბილისში ტრანსპორტირებას ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური უზრუნველყოფს.

„ბიგ ჰაუნდი“ ძალას იკრებს

გასულ კვირას, სტარტი მიეცა ინტელექტუალურ თამაშს „ბიგ-რაუნდი“. თამაშის ორგანიზატორი გამგეობის კულტურის განათლებისა და სპორტის სამსახურია და მასში მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას. თამაშის პირველ ეტაპზე, ორ-ორი სკოლის გუნდი ეთიშება მარათონს, ვიდრე ათი საუკეთესო სკოლა გამოვლინდება. ამის შემდეგ იწყება ერთგვარი ნახევარფინალები. ივნისის დასაწყისში კი საკეთესო სამი გუნდი ჩემპიონობისათვის იბრძოლებს. რაც მთავარია, ფინალი საქართველოს ერთ-ერთ ეგზოტიკურ კუთხეში გაიმართება. რაც თავისთავად ნიშნავს, რომ იგი გრანდიოზული და დაუვიწყარი იქნება მოსწავლეებისათვის. მგზავრობისა და მოსწავლეთა დაბინავების ხარჯებს მთლიანად მუნიციპალიტეტის გამგეობა აფინანსებს.

გააცნეს ახალი პროექტი

10 თებერვალს, ხაშურის თოჯინების თეატრის დარბაზში, რეგიონებში ახალგაზრდების დასაქმების მხარდასაჭერად, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა USAID-ის პროექტ „ზრდა“-ს და სადაზღვეო კომპანია „ალდაგის“ ერთობლივი ინიციატივაა.

დღევანდელ შეხვედრას უძღვებოდნენ „ალდაგის“ ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების წარმომადგენელი-ანა სურმანიძე და „ალდაგის“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენელი-ლიკა მოშიაშვილი.

შეხვედრაზე სადაზღვეო კომპანია „ალდაგმა“ დასაქმების ახალი ონლაინ პორტალი www.onjob.ge წარმოადგინა, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით, ახალგაზრდების დასაქმებას ისახავს მიზნად. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლებმა საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს „ალდაგის“ ონლაინ სააგენტო ქსელში დასაქმების თაობაზე და www.onjob.ge-ზე დარეგისტრირების მსურველებს ადგილზე გაუწიეს სათანადო დახმარება. შეხვედრას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები ხაშურიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან.

აღნიშნული პროექტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხორციელდება, ამასთან, პროგრამა ხელს უწყობს საზღვრისპირა თემებში დაზღვევისა და უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

შეხვედრას კოორდინაციას უწევდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.